№ 189
ხუთშაბათი, 31 აგვისტო, 1900 წ.

**ფასი გაზეთისა:**

| თვე | მან. კ. | თვე | კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 189
ხუთშაბათი, 31 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## სკოლა და პანსიონი
### ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

ადრესი: ოლგინის ქუჩა (Ольгинская), სახლი გოგნიევისა, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (5—4)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსის ისე **სარჩულები.** აჭრევის როკორციაში ო იყიდება ქუთაისში, წერეთლიაბიო ნთსო და **საპირე**,ი გნის მაღაზიებში.

(50—ნ.—21) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

ვისაც რაიმე საქმე აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ **ქართველთა მემამულეთაგანს,** ვთხოვთ მიჰმართონ **რაფაელ ისარლოვს,** ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Fcoles, 40. (16—ნ.—8)

### ბებია-ქალი
## რ. ბ. ნუდელმანი

რჩევას აძლევს ფეხ-მძიმეთა და შვილოსნობით ავადმყოფთ.

ელისაბედის ქ., სახლი № 31. (3—169—1)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების
## სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ლერმონტოვისა და გუდოვიჩის ქუჩების კუთხეში. სახლი საგარდა-პოსერბსკისა, № 12. (5—უ.—1)

## ქალების პროგიმნაზია
### ელენე ბახტაძისა
## დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ პირველ პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდგან და გაგრძელდება მთელ წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში. (5—3)

## კანტორა
**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (15—7)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
### მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კანის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი,** 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალის; 12 ნ—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. საღოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—საფილისის, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადგილი: ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანიშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთა (ელექტრო ტერაპ.) და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნ. გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს წარუდგინა გამოძიების წარმოება და თავისი აზრი იმის შესახებ, რომ ქალაქის მოურავს გ. გ. ევანგულოვს, გამგეობის წევრებს ე. ე. ხოსროევსა და თავ. ა. მ. არღუთინსკისა და აგრეთვე გამგეობის წევრებად ნამყოფთ ქ. ა. ვერმიშევსა და ა. ა. ივანენკოს სამსახურისა გამო ბრალი ედებათ ბოროტ-მოქმედებისა.

*** იმ საშუალო სასწავლებელთა შორის, რომლიდგანაც მოწაფეთ უმაღლესს სპეციალურს სასწავლებელში შესვლის ნება ეძლევათ, შეტანილ იქმნენ, სხვათა შორის, სამეურნეო სასწავლებლები. მაგრამ აქაც უფლება ეძლევა მხოლოდ იმათ, ვინც ამ სასწავლებელს პირველის ხარისხით შეასრულებს. თანახმად

## ფელეტონი

### რუსთა შორის

ქართველი სტუდენტები.—ახალი და ძველი სტუდენტები.—რასა გრძნობს და ჰფიქრობს ახალი სტუდენტი.—რას პოულობს ანუ რა ხვდება ნამდვილად ახალ სტუდენს რუსეთში —სტუდენტობის დანაწილება.—რა უნდა მჰქონდეს ახლებმა.—მომავალი მდგომარეობა.

აგვისტოს ბოლო რიცხვები რუსეთში მყოფ ქართველებისთვის სწორედ სანეტარ-სასიხარულო დროა: ამ დროს იზრდება ქართველ სტუდენტთა რიცხვი, ამ დროს ემატება მეტი სიცოცხლე ქართველთა წრეს. მართალი გითხრათ, ეს ხანა ერთად-ერთი ჟამია, როდესაც ქართველი სტუდენტობა ჰმოძრაობს.

ჩვენში ქართველ სტუდენტებს ნამეტნავად საიმედო თვალით უყურებენ. თუ ახალგაზდამ უმაღლესს სასწავლებელში ამოჰყო თავი, იგი საზოგადოების უმრავლესობას ყველა მეცნიერების მცოდნე არსებად მიაჩნია. ეს აზრი—თუ მთლად არა—ნახევრად მაინც უნდა ჰმართლდებოდეს, რადგან მეცნიერების ტაძარში მომუშავე ახალგაზრდას მეცნიერების შესწავლის გარდა რა უნდა აინტერესებდეს. რასაკვირველია,—არაფერი. სამწუხაროდ, ეს ხშირად, ძალიან ხშირად აგრე არ არის. ძალიან მცირე (თითქმის 2%) სერიოზად ჰკიდებს ხელს თავისის ფაკულტეტის საგნებს და სავსებით სწავლობს. ასეთები თუ საზოგადო მეცნიერებას ვერ ითვისებენ, კიდევ როგორმე მიეტევებათ, რადგან კარგ სპეციალისტების მკურნალობის თუ სხვა ცოდნის შეძენაც მეტად სასარგებლოა საზოგადოებისათვის. 90% სტუდენტობისა წარმოადგენს ისეთ ვაჟბატონებს, რომელნიც ფაკულტეტის საგნების ზედაპირ ეცნობიან ხოლმე (იქნება გამოცდის დროს 3 მიიღონ როგორმე),—საზოგადო მეცნიერებას-კი ვილა სჩივის, ეს ვილას ახსოვს. ერთი მაგალითის მოყვანა ნათლად გვიჩვენებს ზოგიერთ სტუდენტების სამწუხარ-სასაცილო მდგომარეობას. ერთ უნივერსიტეტის ქალაქში ათიოდე ქართველი ახალგაზდა ვიყავით ერთად და მეტად ცხარე ბაასი გვქონდა—ზოგიერთ ეკონომიურ საგნებს ვარჩევდით. ერთმა ახალგაზდამ, რომელიც თავისის ცეკვა-თამაშით ყველა საღამოზედ განთქმული იყო და რომელსაც უნივერსიტეტში ლექციებზედ მეტად ძვირად შეჰხვდებოდით, კარლ მარქსის სახელს მოჰკრა ყური, საღერღელი აეშალა, ლაპარაკში ჩარევა მოისურვა და დაგვეკითხა: „ეგ სად წაიკითხეთ?" „მარქსის თხზულების მეორე ტომში"-ო უპასუხა იქვე მეორემ. „რომელ მარქსის,—განაგრძო პირველმა: ნივის გამომცემლისა?" რასაკვირველია, ასეთმა შენიშვნამ, სერიოზულად წარმოთქმულმა, სიცილი გამოიწვია. ასეთი უვიცი ძლიერ იშვიათია, მაგრამ მაინც მოიპოვება. ამას წინედ შემხვდა რუსი სტუდენტი, რომელმაც არ იცოდა, რა არის ოტელო და იაგო—შექსპირის გმირები. ასეთ ახალგაზდებს ცოტად სჯობია ის 90%, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ბაასი. ერთის სიტყვით, გონებრივ განვითარებით ჩვენი სტუდენტობა ვერ დაიქადებს.

ჩვენ სტუდენტთა შორის არიან ეგრედ წოდებული „მესამე დასელნიც". ესენი უფრო სემინარიელებია. „მესამე დასელებს" ჰგონიათ, რომ მარქსის წაკითხვის მეტი არაფერი არ არის საჭირო, თუ ეს შეასრულეს, მერე ვაი დანარჩენთ. დანარჩენები-კი ასეთ ვაჟბატონს არაფრად არ აგდებენ და აი აქედგან იწყება მთელი არეულობა, რომელიც საზოგადოებაში გვარცხვენს. ქართველ სტუდენტების მეორე მიზეზზედ წინადა გვქონდა ლაპარაკი, ამიტომ დღეს არას ვიტყვით. „მესამე დასელები" აგრე ბევრი არ გახლავან ქართველ სტუდენტებში: მართალია, „კვალში" ხშირად შეხვდებით წერილებს, რომლის ქვეშ აწერია „სტუდენტი ა." „სტუდენტი ბ"... და სხვ., მაგრამ საზოგადო კამათში უთავბოლოდ ჩარევით არ აიხსნება გონებრივი მომზადება ახალგაზრდისა. ქართველ სტუდენტთა შორის, ვინც სერიოზად ჰმეცადინეობს, შემდეგი აზრი ჰქონია: „რა სტუდენტის საქმეა საზოგადო საქმეში გარევა, ბეჭდვითის სიტყვით კამათი, როცა არა ვიცით-რა, როცა ჩვენი ვალდებულობა მომზადებაა, მეცადინობა, მხოლოდ რიგიანად მომზადება გვაძლევს უფლებას ჟურნალ-გაზეთებში მონაწილეობის მიღებისას, ამას შემდეგაც მოვასწრობთ—ჯერ-კი ვისწავლოთ, ვიშრომოთო"... მაგრამ ეს აზრი რომ ყოველთვის ახსოვდეს ყველას, კრილოვი თავისს შესანიშნავ არაკს „ცალიერი და სავსე კასრი" არ დასწერდა. ზემოდ დასახელებულ წრეს—როგორც ყველამ იცით—გონებრივი მხარე აქვს მეტად სუსტი. ამაზე ბევრი ითქვა და ბევრ საშუალებას სძებნიან.

ასეთ კრებას წარმოადგენს დღეს ქართველი სტუდენტობა. ამ ძველს კრებას ემატება ამ ჟამად არა მცირე რიცხვი ახალგაზდობისა (წელს საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულთა რიცხვმა ყველას ყურადღება მიიქცია), იცი, მკითხველო, რას ჰგრძნობს ახალგაზდა, როდესაც პირველად მიეშურება მეცნიერების ტაძრისაკენ? ოჰ, რა სანეტაროა ეს წამი ახალგაზდასთვის! იქ რაღაც არა-ჩვეულებრივ სამოთხეს იპოვის, ჰგონია. იმის აზრით, სტუდენტი ყოველივე კარგის გამომთქმელი-მთესველია. ქართველ სტუდენტისთვის ქართველთა წრე

ამ ახალის განკარგულებისა, ასეთ საშუალო სასწავლებლადვე უნდა იქმნას მიღებული მოსკოვის სამეურნეო სკოლა.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაუწყვეტია გაამრავლოს რიცხვი არსებულ სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებისა და რაც შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოდ ხალხში მეურნეობის შესახებ ცოდნის გავრცელებას. სხვათა შორის, ამ ახალს სკოლებშია მოქცეული ოძისის მომავალი სამეურნეო სკოლაც, რომელიც თავ. ზ. ერისთავის მიერ შეწირულს მამულში უნდა იქმნას გახსნილი.

*** როგორც ხმა დადის, საერო განათლების სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს უნივერსიტეტებში საფიზიკო-სამათემატიკო, საისტორიო-საფილოლოგო და სამკურნალო ფაკულტეტებზედ ერთის კურსიდგან მეორეზედ გადასასვლელად სტუდენტებისათვის გამოცდა იქმნეს დაწესებული ყველა იმ საგნებიდგანა, რომლებსაც-კი წლის განმავლობაში უკითხავენ პროფესორები. განზრახვა აქვთ ასეთი გამოცდა ამ 1901 წლიდგან შემოიღონ.

*** საერო განათლების სამინისტრო ამ ჟამად ყაზანის საგუბერნიო ერობის მიერ წარდგენილ პროექტის განხილვას შესდგომია იმის შესახებ, რომ ყაზანში პოლიტეხნიკუმი იქმნეს დაარსებული. აღნიშნულს პოლიტეხნიკუმში ხუთი განყოფილება იქნებაო: სააგრონომო, სამთო სალითონო, საგიდრო-ტეხნიკო, საქიმიო და სატეხნიკო-სამექანიკო.

*** მომავალს სექტემბერში პეტერბურგში დანიშნულია რკინის გზის მსახურთა კრება, რომელზედაც უთუოდ უნდა გარდაწყდეს, რომ შეკვეთილი კორესპონდენციები მიიღონ და გზავნონ ხოლმე რკინის გზის ყველა იმ სადგურებიდგან, სადაც საფოსტო განყოფილება არ არის.

*** საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით, მიმდინარე წელს, შემოდგომიდგან, ქალაქის ზოგიერთა სასწავლებლებთან გახსნილ იქმნება განსაკუთრებული საპედაგოგო კურსები, რომლებზედაც მსურველნი პირველდაწყებით სკოლების მასწავლებლებად მომზადდებიან.

*** უკანასკნელად გარდაწყვეტილია მთავრობის მიერ, კომისსია იქმნეს მოწვეული იმისდა გამოსაკვლევად, თუ ამ ჟამად რკინის გზის საქმე რა მდგომარეობაშია რუსეთში.

*** ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველი კომისსია სთხოვს ყველას, ვინც-კი ამ სეზონში წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას ისურვებს, ქ-ნ მ. ი. დემურიას მიჰმართონ (ავჭალის ქ., სახლი № 72); წარმოდგენები ენკენისთვის პირველ რიცხვებიდგან დაიწყება.

*** როგორც პეტერბურგიდგან გვატყობინებენ, ბ-ნი ა. ხახანაშვილი 1-ლ ენკენისთვიდგან მოსკოვის უნივერსიტეტში ქართულ ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ ლექციების კითხვას თურმე დაიწყებს.

ეჭვი არ არის, ჩვენი ქართველი სტუდენტობა სიხარულით მიეგებება და თითოეული მათგანი თავისს მოვალეობად მიიჩნევს აღნიშნული ლექციები მოისმინოს.

*** კომისიას, რომელიც მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ბ-ნის მედვედევის თავმჯდომარეობით არის შემდგარი და რომელმაც სახაზინო გლეხების ყოფა-ცხოვრება უნდა გააწყს-რიგოს, განზრახვა აქვს ნოემბრამდე უკვე შეიმუშავოს პროექტი ამის შესახებ და ნოემბრის პირველ რიცხვებში მიწად-მოქმედების სამინისტროს წარუდგინოს.

*** ტფილისის რეალურ სასწავლებლის მთავრობას განზრახვა აქვს პირველ კლასს საპარალელო განყოფილება მოუმატოს, რადგანაც აღნიშნულ სასწავლებლის დაბალი კლასები ამ ჟამად მთლად სავსეა მოწაფეებით.

*** გაზ. „რაზვედჩიკის“ სიტყვით, განზრახვა თურმე აქვთ შემოდგომიდგან ახლად ჯარში გაყვანილებისათვის წერა-კითხვის სწავლება სავალდებულოდ გახადონ. აღკრძალული თურმე აქვთ აგრეთვე ჯარის-კაცთა პირდაპირმა უფროსებმა აფიცრის ნება-დაურთველად დასაჯონ ხოლმე ჯარში ახლად გაყვანილნი.

*** განზრახვა თურმე აქვთ ყარსში დედათა პროგიმნაზია გახსნან. შუამდგომლობა ამის შესახებ უკვე სამინისტროშია გაგზავნილიო.

*** როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში „დიზენტერია“ თურმე გავრცელებული.

*** ტფილისის გუბერნატორს მაზრის უფროსებისა და ტფილისის პოლიცმეისტრისათვის მიწერილობა გაუგზავნია, რომ სასტიკი ყურადღება იქონიონ და როგორც-კი დაიჭირონ, რომ საქონელს ფეხის გზით მიერეკებიან ისეთ ადგილებში, სადაც ფეხის გზასთან ერთად რკინის გზაც მიდის, შეუკრან გზა და საქონელი რკინის გზით წააყვანინონ.

*** ქართულ სცენაზედ სათამაშოდ ახლად გამომსვლელთა გამოსაცდელად დრამატიულ კომიტეტის წევრთა, არტისტებისა და ზოგიერთა სხვა მოწვეულ ადამიანთა თანადასწრებით წარმოდგენები ენკენისთვის პირველ რიცხვებში დაიწყება და თვის შუა რიცხვებამდე გასტანს.

*** ვარციხე. ზუგდიდის მაზრის სოფელ საყიჯაის მცხოვრებმა მოიჯარადრეებმა გუდუ შამათავამა და იასონ ლიპანავამ 4 აგვისტოს ბ-ნ ანანოვის კანტორიდგან მიიღეს ხე-ტყის მასალის გადატანაში დანარჩენი ანგარიში სრულად 443 მან. 42 კაპ., მოიჯარადრენი ვალდებულნი იყვნენ მიღებული ფული თავიანთ ნაქირავებმუშებისათვის დაერიგებინათ. ნაცვლად ამისა სადღაც გაჰქრნენ და აღარსადა სჩანან. ამის შესახებ მამულის მეპატრონემ ბ-ნმა ანანოვმა განცხადება შეიტანა სადაც ჯერ არს, რომ გაქცეული მოიჯარადრეები აღმოაჩინონ.

*** ს. ძევრი. წრევანდელი მოსავალი, კარგი ამინდებისა გამო, დიდს იმედს გვაძლევდა, ასე რომ რაც უნდა ნაკლები მუშა ყოფილიყო, ორი წლის საზრდოს მაინც შეინახავდა, რადგანაც თავისს დროზედ ზომიერი წვიმა, დამთნამი და ადრეზედ დამუშავება ყანებს არ მოჰკლებია. მაგრამ დადგა თუ არა მარიამობისთვე, ასტყდა ქარი, ტარო დეროზედ შეაჭკნო და დერო ფოთლებისაგან სულ გასცალა; იმედი გაგვიცრუვდა და როგორც ჩვენთვის საზრდო, ისე საქონლისათვისაც საკვები საძებარი გვექმნება. წელს აქეთ პურის მოსავალი კარგი იყო; ფუთი პურის ფასი ათ შაურზედ მაღლა არ აიწევდა, რომ სიმინდის მოსავლის იმედი გვქონდეთ. ადგილობრივი მცხოვრები ბ-ნი ქათამაძე უკვე შეუდგა თავისს დანაპირების აღსრულებასა და აგერ ერთი თვეა რაც ხიდის გასაკეთებლად მუშები დააყენა. ხიდი კეთდება ქვისა, რომელზედაც ურემი და ცხენი ივლის. ბ-ნმა ქათამაძემ, ამის გარდა, ბევრი სხვა სასარგებლო საქმეც გააკეთა აქ, ასე რომ დიდი ხანია ყველას პატივისცემა დაიმსახურა.

*** სოფ. სიმონეთი (ქუთაისის მაზრა). 15 მარიამობისთვეს, სოფ. სიმონეთში ქ-ნ ეფრ. კლდიაშვილის სახლში უფასო წარმოდგენა იქმნა გამართული ითამაშეს სამ-მოქმედებიანი პიესა ცაგარლისა „ხანუმა“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქალთაგან: ანასტასია, ელენე, მარო, ლენა, ო... და ლიზა კლდიაშვილებმა. კაცთაგან: მ. ბერძულიშვილმა, მ. ქორქაშვილმა, ვლად. კლდიაშვილმა, მ. გიორგაძემ და ამავე სოფლის მასწავლებელმა გოქაძემ. თავისი როლი ყველამ გვარიანად შეასრულა. პიესა რომ გათავდა, ხალხს უჩვენეს ორი ცოცხალი სურათი: კაინი და აბელი, და დედა და შვილი (დედა ხმალს აძლევს შვილს და საომრად გზავნის). წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი დაესწრო და ყველა კმაყოფილი დაბრუნდა შინ. დიდის მადლობის ღირსია მოთავე ამა საქმისა, ქალბატონი ანასტასია კლდიაშვილი. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ყველანი, ვინც-კი წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო.

*** ძველი-სენაკი. ივლისმა ძალიან შეგვაშინა, რადგანაც საშინელი წვიმები დაიჭირა. გვეგონა, რომ მოსავალი სრულიად გაფუჭდებოდა ხშირი წვიმებისაგან, მაგრამ, მადლობა ღმერთს, აგვისტომ კარგი ამინდები დაიჭირა და მოსავალიც ძლიერ გამოკეთდა. მარიამობისთვის 1—15-მდე აქ ბაზრობა იცის. რადგანაც კარგი დარები იყო, ამ წლის ბაზრობას დიდი ხალხი მიაწყდა. ბაზრობაში ბლომად იყო გასასყიდი: ცხენი, ძროხა, ხარი და სხვა და სხვა ნაწარმოები სოფლებისა.

*** ორშაბათს, 28 აგვისტოს, პოლიციის მე-6 ნაწილში ესრედ წოდებულ „ულუბულახის“ ადგილში ტფილისის მოქალაქე, 80 წლის მოხუცი, იოსებ გოგიაშვილი, როდესაც იგი ხეზე ნუშსა კრეფავდა, თვისის გაუფრთხილებლობით ჩამოვარდა და ისე მაგრად დაეცა მიწაზედ, რომ იქვე სული განუტევა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

*** 16-დგან 21 აგვისტომდე ტფილისში ავად გამხდარან: ყელჭირვებით—1, ქლექით—2, მუცლის სახადით—2 და შემოსაბრუნ სახადით—1. სხვა გადამდები სენი არა ყოფილა.

## პატარძეულის რამე რუმე.

მოსავალი და ამინდები. სოფლის გზები. მოძღვრის რჩევა-დარიგება. ღრიალა მლოცველი. თვალის ტკივილი. არქეოლოგიური ნაშთები.

აბიბინებულმა გაზაფხულის ყანებმა თუ გაახარეს და გაამხნევეს ჩვენებური გლეხ-კაცის გული, სამაგიეროდ ღამის არის ამ ზაფხულმა დაუხშოს და დაუკარგოს ყოველი იმედი. მართალია, მოსავალი კარგი მოუვიდათ, მომკეს, შინ მოიტანეს, მაგრამ გალეწვა უჭირდებათ. ამ ახირებულმა წვიმებმა ღამის არის დაალპოს და ააჯეჯილოს ამოდენა ძნები. სოფელს დაუკრეფია გულ-ხელი და ცას შეჰყურებს ამინდის მოლოდინში. ერთი დღე თუ გამოიდარა, სამი-ოთხი დღე უდარობაა. ან თუ ჩაშლიან ძნას, ცოტას ჩაშლიან ხოლმე, რომ მალე გავლეწოთ და წვიმამ არ მოგვასწროსო, და არიან ასეთ გაჭირვებაში.

ამოდენა წვიმებმა განა მარტო პურის მოსავალი დააზარალა? არა. ღვინის მოსავალს უარესი დღე დააყენა. გაზაფხულიდგანვე დაუწყეს წამლობა ვენახებს, მაგრამ წვიმებმა სულ ჩამორეცხეს და ზედ აღარა შეარჩინეს რა. ზოგმა თავისს ვენახს რამდენჯერმე უწამლა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა და ეხლა ვაზი საცოდავს მდგომარეობაშია. კაცმა რო ვენახებს შეხედოს, ეგონება ყურძენი უკვე დაუკრეფიათ და ვენახი გიორგობისთვეში გადამდგარაო. ფოთლები სულ ჩამხმარ-ჩაყვითლებულია და მკვახე, მწვანედ შემხმარი წვნიკი ტევნები ასხია, ამ დროს-კი ყურძენი უნდა სრული იყოს და ვენახები მევეღლეებით სავსე, რომ აჭარხლებულ სავსე ვენახებიდგან ყურძენი არავინ მოიპაროს. ასეთმა ამინდმა თუ კიდევ დიდხანს გასტანა, ვაზს რაც მტევნები შერჩება, იმის მარცვლებსაც დახეთქავს და მთლად აქაურობა თავის სახარჯო ღვინოსაც ძლივს დასწურავს, თორემ გასასყიდს ვინ-და სჩივის! ვენახებში ბალახები უკვე რამდენჯერმე გათიბეს და ეხლაც ზოგან ისეა მოსული ბალახი, რომ კაცს მხრებამდის მისწვდება. აბა ასეთის ბალახით სავსე ვენახში ყურძენი როგორ დამწიფდება! ახლა პატრონმა აღარ იცის, რა ჰქმნას: ვენახს მოუაროს, თუ გაუდეწავს ათეულებს. მთელს სოფელში ხილი თითქმის არა მოიპოვება-რა და სადაც-კი ან კიტრი ეგულებათ, ან სიმინდი, ან თუ ვისმეს ერთი ორი ძირი სხვა რამ ხილი უდგას, იპარებიან ვენახებში და იქაურობას დაუნდობლად აოხრებენ.

შეუწყვეტელი წვიმებისაგან გზებიც გაფუჭდა. სადა ოდესღაც ქვა და ქვიშა დაუყრიათ, იქ კიდევ შეიძლება კაცმა ზოგ-ზოგ ადგილას ფეხი დააკაროს და მომეტებული ნაწილი-კი ისეა, რომ კაცს გავლა საშინლად უძნელდება, რადგან კოჭზედ მაღლა ტალახში იფლებაა ფეხით სიარული შეუძლებელი ხდება. ნეტავი სოფლის მეთვალყურენი რას უსხედან, რატომ ყურს არ უგდებენ და არ შეაკეთებენ ასეთ წამხდარ გზებს?! ნამეტნავად ეხლა, როცა ჩიბუხის წევის და დუქანთან უბრალოდ ლაპარაკის მეტს სოფლის უმეტესი ნაწილი არას აკეთებს. მაგრამ ვინ არის მთქმელი და ჩამგონებელი? ჩვენებურ გლეხ-კაცს ვიდრე სუსხს არ დააყენებენ, თავის და თავად ის არას გააკეთებს. ასეა დაჩვეული და რა ჰქმნას!

ჩვეულება, ხომ მოგეხსენებათ, რჯულთ უმტკიცესიაო, მამა პაპათაგან ჩვეულნი არიან მიცვალებულის დასაფლავებაზედ ცხვრისა და ძროხის დაკვლას და დიდი ხარჯის გაწევას. თუ შეუძლებელი ოჯახია და სახლში საკლავი არა ჰყავს რა, ვალს იღებს, დიდს სარგებელს აძლევს და ქელეხს-კი იხდის. იმას არა ჰკმართობენ, რომ ოჯახს ერთი სული აკლდება, ნამეტნავად თუ ოჯახის მამაა, ან ოჯახის მაცხოვრებელია, შემტანი, შემმატებელი; ოჯახი ხომ იღუპება და იღუპება და ეს რაღაც მოუფიქრებელი ქელეხებია, ეს ხომ უფრო უარესადა ჰღუპავს ოჯახს და საზოგადოდ ხალხს.

ეს რამდენიმე თვეა ჩვენს სოფელში გაამწესეს ახალგაზრდა მღვდელი მამა კოზმა ცინცაძე. როცა მღვდელი დაჰკვირვებია ჩვენი გლეხ-კაცის ცხოვრებას და ასეთი დამღუპველი, მაზარალებელი ზნე-ჩვეულებანი და წირვა-ქელეხების მავნე ხარჯი დაუნახავს, ყოველივე ხალხისათვის აღუკრძალავს და კეთილის სიტყვით დაურიგებია, მაგრამ ხალხს ასე უპასუხნია, რომ ეს ჩვენი მამა-პაპეული წესი და ჩვეულებაა და განა შენს მეტი სხვა მღვდლები არა გვყოლია; ეს ჩვენთვის რომ მავნე იყოს, სხვა მღვდლებიც აღვიკრძალავდნენო. ღმერთს და ჩვენის მიცვალებულის სულს ვერ ვაწყენინებთო. იმდენს აღარა ჰფიქრობენ, რაც კარგი ზნე-ჩვეულებანია, მამა-პაპეულიც უნდა შევირჩინოთ და ახალიც უნდა შევიძინოთ, მხოლოდ რაც ცუდია —მამა-პაპეულიცა და ახალიც უნდა უარვყოთ და ავიშოროთ. ნათქვამია „მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვააო“. აბა ახლა მართლაც რა გააწყოს მარტო ერთმა ცინცაძემ, თუ სხვებიც მხარს არ დაუჭერენ.

თუ წირვა აქვს ვისმეს, ან მართლა და დიდი უქმე, დღესასწაული უნდა იყოს, რომ ჩვენის სოფლის ხალხი ეკკლესიაში შევიდეს. 6 მარიამობისთვეს, ფერის-ცვალება დღეს, ეკკლესიები დავიარე და განცვიფრებაში მოვედი ხალხის სიცოტავით! პატარძეულში სამი ეკკლესია არის და სამივეში ამ დღეს არ იქმნებოდა სულ თხუთმეტი სული! დუქნის წინ-კი ორმოცამდის კაცს მოეყარა თავი და ყაყანი გაჰქონდა! პატარძეულის

მომხიბვლელ რასმე წარმოადგენს და ჩასვლისათანავე ქართველების ერთად დანახვას და მათთან ბაასს ჰნატრობს. ჩადის დანიშნულ უნივერსიტეტის ქალაქში, სცხოვრობს ცოტა ხანს და ოცნება ჰქრება, ირღვევა. თურმე აქაც დას-დასობა ყოფილა, აქაც კერძო ინტერესებს, შენ-ჩემობას ჰქონია ალაგი, აქაც ერთმანეთის ჯიბრით ფუჭდება საერთო საქმე, ირღვევა ის ნიადაგი, რომელმაც უნდა შეჰქმნას მომავალნი მოღვაწენი. ახლად ჩამოსული თავისს ქვეყანაში შექმნილ სურათის ნაცვლად ჰხედავს ორად ან სამად დანაწილებულ სტუდენტობას, სამივე ნაწილის წევრები თავისკენ იზიდავენ, იწვევენ ახალს სტუდენტს, სხვებს აძაგებენ და სხ. ახალმა, რა ჰქნას არ იცის.

რა უნდა ჰქნას ახალმა სტუდენტმა და რას უნდა ესწრაფოდეს? აი ეს არის საკითხი, რადგან ამ ჟამად ახლად ჩამოსული სტუდენტები სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეცადნენ მოსპონ არსებული მიუკარებლობა, ურთ-ერთის ლანძღვა და დამცირება, მოუმზადონ ნიადაგი ერთობის გამეფებას. ეს არც ისე ძნელია, როგორც ერთის შეხედვით, ეგონებათ. დღეს ყველა წრეს ანუ დასს ცალკე აქვს კრება —სავახშმოდ, ქართულ საღამოის გასამართავად, სადღესასწაულოდ, რეფერატის წასაკითხავად და რაიმე სამეცნიერო საგნის ასახსნელად. მოისპოს ეს განცალკევებით შეკრება. ყველა ზემოდ აღნიშნულ საგანმა საერთოდ კრება გამოიწვიოს, არა ცალკ-ცალკე. ეს არის ნიადაგი სანეტარო მომავალისა. ასეთი მდგომარეობა იწვევს მეტს სიცოცხლეს, მეტს კამათს და სხვ., რომელსაც აქ არ ჩამოვთვლით, რადგან ეს ყველა ახალგაზდას კარგად აქვს წარმოდგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ახალგაზრდობა უფსკრულისაკენ გაექანება. ვინც ასეთს აზრს წინ აღუდგება და ვინც ხმა მაღლა წარმოსთქვამს: „ეს შეუძლებელია, ეს არ განხორციელდებაო“, იგი, მერწმუნეთ, წარმატების მტერია.

მალაქია ბოლქვაძე

ტყეში, დრეიძეში, 7—8 ვერსტის მანძილზედ დასახლეს რამდენიმე კომლი გადმოსულ რუსებისა. როცა მესამე ეკკლესიაში შევედი, ეს რუსები ჩამოსულიყვნენ 5—6 ქალი და კაცი და თუმცა ერთი სიტყვაც არ ესმოდათ ქართულის წირვისა, მაინც მოწიწებით ჩუმად იდგნენ და დრო გამოშვებით მუხლ-მოდრეკით ლოცულობდნენ.

ვინ არ იცის, რა გულტკივად უყურებს ზოგიერთი გლეხ-კაცი ნასწავლ მკურნალს. იმათ ის ურჩევნიათ, ყოველი ავადმყოფობისათვის ან შინაურს ჯანაოზს მიჰმართონ, ან მკითხავს. აგერ სრული ერთი წელიწადია ონაანთ ოჯახში თვალის ტკივილია დარეული და აქამდის მკურნალისათვის ხმაც არ გაუციათ. იმათგან ეს თვალის ტკივილი მეზობლის ბავშვსაც გადაედო, რომელიც მე შემთხვევით ვნახე, ბავშვებში მოთამაშე. დავუძახე, დავაცქერდი და საწყალი ბავშვი ძალიან საცოდავი სანახავი იყო. ორივ თვალები საშინლად დასწითლებოდა, ქუთუთოები დასიებოდა და ძლივს ახელდა და თან თეთრი სქელი წვეთი ჩირქივით ასდიოდა. ამ გვარ ავადმყოფობას რუსულად „ტრახომას“ ეძახიან და ძალიან გადასადებსაც ამბობენ. ამ ბავშვის დედას ვურჩიე საგარეჯოში მკურნალთან გადაუყვანა და იმანაც მოისურვა, მხოლოდ აღარ ვიცი, წაიყვანა თუ არა, საქმე ის არის, რომ თუ ეხლავე არ უწამლეს ამ ბავშვს და ონაანთ სახლს, შეიძლება სოფლის უმეტესობას მოედოს და მერე აღმოფხვრა ძნელი იქნება.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ნათქვამია და წვიმებმაც ერთი ძველი ნაშთი აღმოაჩინეს, რომლის შესახებ აქამდე არავის არა სცოდნია-რა. პატარძეულის ტყეში დიდ ნიაღვრებს ერთი კლდის ფერდობი გამოუთხრია და გამოჩენილა რიგსაცის თიხის მილები. რამდენიმე კაცი წავიდა ტყეში სანახავად. კარგა დიდი მანძილი უთხრიათ და მართლაც აღმოჩენილა მშვენივრად შენახული წყლის მილები. თითო მილი სიგრძით იქნება თითქმის სამი მტკაველი, სიგანე თავში იქნება ორი გოჯი, ბოლოში სამ გოჯზედ ცოტა ნაკლები; სისქე თითქმის ერთი თითის ტოლა იქნება. თავს ერთი გოჯით ქვემოდ შემოვლებული აქვს თიხისავე საყელური იმისათვის, რომ ერთ მილს რო მეორეში ჩასდებენ, მაგრად დაიჭიროს, წინ არ წასცურდეს და წყალი არ გაედინოს. თვით მილები ძალიან მაგრები და მეტად სუფთად ნამუშავარია. ადგილობრივ მნახველებმა სთქვეს, რომ ეს მილები იქნება ორი-სამის ვერსის მანძილზედ იყოს გაწყობილიო. ყოველ ოთხ-ხუთ საჟენზედ დიდი ქვევრებია მიწაში ჩაურილიო და ზემოდგან რომ ერთი მილით შიგ წყალი ჩადენილა, პირდაპირ მეორე მხრიდგან მეორე მილით წყალი გასულა შემდეგის ქვევრისაკენაო. ურიგო არ იქნებოდა ამ ადგილს ყურადღება მიაქციონ და გამოარკვიონ ან დასაწყისი სადა აქვს, ან ბოლო, ან რა საჭიროებისათვის ყოფილა იგი გამართული. შეიძლება ან თავში, ან ბოლოში საინტერესო რამ იპოვონ და თვით ეს ნაპოვნი მილებიც საქმეში გამოიყენონ.

მათე

## უცხოეთი

**ჩინეთი.** რუსეთის მთავრობის წინადადებამ ჩინეთიდგან ჯარის გაყვანისა და სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თურმე საზღვარ გარეთ. თითქმის არსად არ მოელოდნენ რუსეთის პოლიტიკისაგან იმას, რაც მთავრობის ნოტაშია აღნიშნული. ამას გარდა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ინგლისსა, გერმანიასა, ავსტრო-უნგრეთსა, იტალიასა და თითქმის საფრანგეთსა და ამერიკაშიაც არ მოეწონათ რუსეთის წინადადება პეკინიდგან ჯარის გაყვანის შესახებ. გავლენიანი ინგლისური გაზეთი „Times“-ი სწერს: „არც სახელი და არც ინტერესები ნებას არ აძლევენ ინგლისს რუსეთის მაგალითს მიჰბაძოს და თავისი ჯარი ეხლავე წაიყვანოს პეკინიდგან. ერთად-ერთ მიზნად ინგლისს ის ჰქონდა და აქვს ეხლაც, რომ თავისს ქვეშევრდომთა სიცოცხლე და ქონება უზრუნველ ჰყოს განსაცდელისაგან არა მარტო პეკინში, არამედ მთელს ჩინეთის იმპერიაში. ინგლისი ამიტომ საჭიროდ სთვლის სამაგალითოდ იქმნენ დასჯილნი ჩინელები არეულობისათვის. ინგლისმა უნდა გაიგოს წარჩინებულ ჩინელთაგან ვინ არის დამნაშავე იმაში, რაც ევროპიელთ ტანჯვას გადახდათ. მან უნდა მოითხოვოს, რომ სწორედ ეს წარჩინებულნი იქმნენ დასჯილნი. ამიტომ ჩვენი ჯარი პეკინში უნდა დარჩეს იმ დრომდე, ვიდრე შესაფერი ზავი არ დაიდება და დამნაშავენი სამაგალითოდ არ დაისჯებიან“.

სხვა ინგლისურ გაზეთებს ასევე არ მოეწონათ რუსეთის ნოტა. გაზ. „Daily Nevs“-ი შენიშნავს, რომ რუსეთის წინადადება დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინაო“. გაზ. Daily Chronicle“ სწერს: „რუსეთის მოქმედება არამც თუ ძირს გამოუთხრის სახელმწიფოთა ერთობას, არამედ ამ სახელმწიფოთ სასაცილო მდგომარეობაშიაც ჩააყენებს. თუ რუსეთის წინადადების წყალობით ქვრივი იმპერატრიცა დიდის ამბით პეკინში დაბრუნდა (ხოლო იმპერატრიცა რომ უბრალოდ არ დაბრუნდება პეკინში, ეს ყოვლს ეჭვს გარეშეა), ჩინელები უეჭველად იფიქრებენ, რომ „უცხო-ქვეყნელნი ქაჯნი“ სამარცხვინოდ იქმნენ ჩინეთიდგან განდევნილნიო. ძნელი სათქმელია რას იზამენ მაშინ სახელმწიფონი საზოგადოდ ¢ ინგლისი კერძოდ ჩინეთში მყოფ თავიანთ ქვეშევრდომთა უშიშრობისათვის“. „Standard“-ი სწერს, რომ რუსეთის ნოტა ინგლისის და სხვა სახელმწიფოებისათვის სრულიად მოულოდნელი იყოო. „მხოლოდ იმას უნდა გაუხარდეს პეკინიდგან ჯარის გაყვანა, — ამბობს გაზეთი, — ვინც ჩინეთის კეთილ-დღეობასა და წარმატებას არაფრად აგდებს“. „Independ. Belge“-ს სიტყვით, რუსეთის ნოტას ვენაში ძალიან ცივად მიეგებნენ. ავსტრიის გაზეთები ერთხმად სწერენ, რომ ავსტრო-უნგრეთი ვერ მიიღებს რუსეთის წინადადებასაო.

რუსეთის ნოტა საფრანგეთისათვისაც კი მოულოდნელი ყოფილა. აი რას ატყობინებენ დეპეშით გაზეთ „Neve Freie Presse“-ს: „რუსეთის წინადადებამ პეკინიდგან ჯარის გაყვანის შესახებ მთელის ევროპის დიპლომატია გააცვიფრა. რუსეთის მთავრობამ საფრანგეთსაც კი არ აცნობა წინდაწინვე თავისი განზრახვა, და რუსეთის ნოტა დელკასესათვის ისეთი მოულოდნელი იყო, როგორც ევროპის სხვა მინისტრებისათვის. საყურადღებოა ამ შემთხვევაში იაპონიის ყოფა-ქცევაა. იაპონელები სიხარულით მიეგებნენ რუსეთის წინადადებას და მზად არიან თავიანთი ჯარი დაუყოვნებლივ წაიყვანონ პეკინიდგან. ამიტომ გერმანიას გაუცრუვდა ის იმედი, რომ თუ სხვა სახელმწიფოები გავიდნენ პეკინიდგან, ჩვენთან ერთად იქ იაპონია მაინც დარჩებაო. აქაურ დიპლომატიურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ნოტის გამოცემამდე რუსეთი, იაპონია და შერთებული შტატები შეთანხმდნენ ჩინეთის საქმების გამო. ამბობენ, რუსეთის მთავრობამ ფორმალური პირობა მისცა იაპონიას, გავიყვან ჩემ ჯარს მანჯურიიდგან და ნიუ-ჩვანიდგანაო. შეერთებული შტატებიც მალე დათანხმდა რუსეთს, რადგანაც იქ საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია ომისა ჩინეთში“. ზოგი გაზეთი იმასაც-კი წინასწარმეტყველებს, რომ დადგა დრო ვითომდა „მოკავშირეთა“ შორის უთანხმოების ჩამოვარდნისაო.

— გაზ. „Frarkfurter Zeitung“-ს საკუთარი კორესპონდენტი შანხაიდგან დეპეშით ატყობინებს: „აქაური ინგლისის გაზეთები სწერენ, რომ რუსეთისა და გერმანიის შორის საიდუმლოდ მოლაპარაკება მოხდა. რუსეთმა გერმანიას ნება მისცა დაიჭიროს პეჩილიის და შანდუნის პროვინციები; თვით რუსეთიკი მთელ მანჯურიასა და მუჩუანს უნდა დაეპატრონოსო“.

— ამავე გაზეთს შანხაიდგან ატყობინებენ:

„იანცეკიანგის მიდამოებში ამ ბოლოს დროს დიდი მოძრაობაა: თითქმის ყველგან არეულობამ იჩინა თავი. მოხელენი ვუზუნგის თოფხანიდგან ტყვია-წამალსა და თოფებს ურიგებენ მცხოვრებთ. ზოგიერთნი არეულობას ინგლისელებს აბრალებენ: მათ თავიანთის ხრიკებით ააჯანყეს ხალხიო. ტიან-ძინიდგან იუწყებიან, ისე დღე არ გაივლის, რომ ამ ქალაქის გარშემო შეტაკება არ მოხდეს ევროპიელთა და მოკრივეთა შორისაო“.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** წარსულ შაბათს ინგლისის ჯარის მთავარ-სარდალმა ლორდმა რობერტსმა ბელფოსტში მანიფესტი გამოსცა ტრანსვაალის შემოერთების შესახებ. იმის გასაგებად, თუ რამდენად სამართლიანია ეს მანიფესტი, საკმაოა კაცმა ტრანსვაალის რუკას დაჰხედოს: ინგლისის ჯარს ტრანსვაალის მიწა-ადგილისა ერთი მეოთხედიც არ უჭირავს. რობერტსი იქაც-კი ვერა ჰგრძნობს თავს ბატონად, სადაც იმისი ჯარია. ამას გარდა ბურები უკვე „შემოერთებულ“ ორანჟეს რესპუბლიკაში და ნატალშიაც გაჩნდნენ. ამიტომ გაზეთები ჰკვირობენ რობერტსის ყოფა-ქცევის გამო. როგორ იკადრა რობერტსმა ისეთი უკანონობა, რომელიც დიდი ხანია საერთაშორისო უფლებით წინ დახედულია, ამბობენ გაზეთები. საქმე ის არის, რომ რობერტსის ასეთ მანიფესტის შემდეგ ინგლისელნი ბურებს მეომარ მხარედ აღარ ჩასთვლიან და ისე მოექცევიან მათ, როგორც მეამბოხეთ, ე. ი. ჩამოარჩობენ, დაპატიმრებენ, დააჯარიმებენ, სარჩო-საბადებელს ჩამოართმევენ მარტო იმისათვის, რომ ბურები ინგლისელებს ეომებიან. რობერტსის ბრძანებით უკვე გადაუწვავთ 30 ფერმა და 50 ფერმებისათვის კიდევ დიდი ჯარიმა დაუდვიათ.

**საფრანგეთი.** მონარქისტთა გაზეთ „Soleil“-ში დაბეჭდილია საფრანგეთის ტახტის მაძიებელის ჰერცოგის ფილიპ ორლეანელის წერილი. როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, ჰერცოგი მთელ თავისს იმედს ანტისემიტთა და ნაციონალისტთა დასებს ამყარებს და ამიტომ სავსებით უერთდება ამ დასების პროგრამას. „მე ვიცავდი ყოველთვის ჯარს, — სწერს ჰერცოგი, — რომელიც საფრანგეთის სახელს შეადგენს და რომლისაგანაც მას შველა და ხსნა მოელის. მე ვაფრთხილებდი საფრანგეთს კოსმოპოლიტიზმისა, ებრაელებისა და მასსონებისაგან, რომელნიც უმთავრესს უბედურებას შეადგენენ“. შემდეგ ჰერცოგი ამბობს, რომ საფრანგეთისათვის დეცენტრალიზაციაა საჭირო, და განაგრძობს: „მარტო მე შემიძლიან მივანიჭო სიცოცხლე სოფელსა და ქალაქს და განვათავისუფლო მთელი საფრანგეთი აწინდელ ადმინისტრატიულ ბორკილისაგან. მარტო დეცენტრალიზაციას და ძლიერს, სასტიკს მეფის მარჯვენას შეუძლიან საფრანგეთის აღყვავება და აღორძინებაო“. როგორც ეტყობა, ჰერცოგს უნდა, საფრანგეთი რევოლიუციის წინა ხანას დაუბრუნოს და გააუქმოს ყველა ის საკეთილო დაწყობილება, რაც რევოლიუციამ და შემდეგ დრომ შესძინა. სწორედ საკვირველია, რომ ჰერცოგს ასეთის პროგრამით იმედი აქვს საფრანგეთში რესპუბლიკანური წესწყობილება დასცეს, მონარქია განაახლოს და თვით მეფედ შეიქმნეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

ბელგიაში ამ ბოლოს დროს ყველას ყურადღება მიიქცია ერთმა მტრედმა: ეს მტრედი უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ყოველ დილას ლიეჟიდგან ვარემამდე აცილებს დილის მატარებელს. ყოველ დღე დილის 9-ნახევარ საათზედ მტრედი სადგურზედ გაჩნდება ხოლმე, ვიდრე მატარებელი სდგას და მგზავრები ემზადებიან, მტრედი იქვე ახლო-მახლო დაფრინავს; როდესაც მესამედ ზარს ჩამორეკავენ და მატარებელი დაიძვრის, მტრედი უკან დაედევნება ხოლმე და სადგურ ვარემამდე მისდევს. გზაში, მთელის ერთის საათის განმავლობაში, მტრედი არსად არ ისვენებს, არც ერთს სადგურზედ არა ჩერდება. ვარემიდგან უკან ლიეჟში მტრედი მარტო ბრუნდება. საყურადღებო ის არის, რომ სახლში ყოველთვის $11^1/_2$ საათ. ბრუნდება და არც ერთხელ ამ დროს არ გადააცდენს ხოლმე.

* * *

ქ. კამდენში (ამერიკაშია) ამას წინად ერთ კაცს სიმთვრალისათვის 15 წუთით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს. გაზეთები ამბობენ ამის გამო, პირველი მაგალითია, რომ ასე მცირე ხნით სასჯელი გადაეწყვიტოთ ვინმესთვისაო. დამნაშავე ქუჩაში უნახავთ, იგი უგრძნობელი ეგონათ თურმე. ჯერ უფიქრიათ, მხეს დაუკრავსო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მზეს კი არა, არაყს „დაეკრა“ იმისთვის სასამართლოში გამოუცხადებია, ორის ჭიქის მეტი არ დამილევია, მაგრამ რადგანაც სიცხე მქონდა, გონება დავკარგე და რომ გამოვიღვიძე, საავადმყოფოში ვიწექიო. „ბრალდებულო, — დაუწყვია მოსამართლეს, როდესაც საქმის განხილვას მორჩენილა, — თქვენ დამნაშავე ხართ და ამიტომ სასჯელად გიწყვეტავთ თხუთმეტის...“ მდივანს დაუწერია კიდეც „თხუთმეტის დღით“, როდესაც მოსამართლეს გამოუცხადებია: „თხუთმეტის წუთით საპყრობილეში დაპატიმრებაო“.

* * *

საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის უკანასკნელ სხდომაზედ ტომასსის წაუკითხნია საყურადღებო მოხსენება უმავთულო ტელეგრაფის შესახებ. როგორც ვუწყით, მარკონის მიერ გამოგონილ უმავთულო ტელეგრაფის უმთავრესი ნაკლულევანება ის არის, რომ გადაცემული დეპეშა შეიძლება გადაიღონ არა მარტო იმ აპარატებმა, სადაც დეპეშაა გაგზავნილი. არამედ სხვებმაც. ეს ნაკლულევანება უმავთულო ტელეგრაფისა ტომასსის თავიდგან აუცდენია ამ რიგად. ერთის მაგიერ ტომასსის დაუდგავს ორი გადამცემი აპარატი და ელექტრონის ტალღა (электрическая волна) ორივესთვის ერთსა და იმავე დროს მიუშვია. ეს ტალღები გზაში ერთმანეთში ირევა, ასე რომ ცნობა, საშუალო სადგურებზედ სხვა აპარატების მიერ გადაღებული, გაუგებარი და უაზრო გამოდის. მხოლოდ იმ სადგურზედ, სადაც დეპეშაა გაგზავნილი, წინადვე დადებული პირობით, შეუძლიანთ გაიგონ და გაარჩიონ შინაარსი ამ დეპეშისა.

* * *

ერთ ამერიკელს, გვარად ადელსტონს, გამოუგონია „მცურავი თეატრი“. ეს თეატრი გემზეა გამართული. გემი საგანგებოდ არის მოწყობილი თეატრისათვის. თეატრი უკვე მზადაა, და ამ დღეებში შეუდგებიან ზედ წარმოდგენებისა და კონცერტების გამართვას. ადელსტონი თავისს გემ-თეატრით ჯერ ამერიკის ნავთ-სადგურებს შემოივლის, შემდეგ ევროპასა და სხვა ქვეყნებში წავა. მთელი გემი ელექტრონით არის თურმე განათებული.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აგვისტო

**შანჰაი.** ამბობენ, რომ ბუჩუანის ვიცე-კოროლმა უცბად დააწყნარა ხანხოუში მომხდარი მღელვარებაო.

**ლონდონი.** ფიქსბურგიდგან 24 აგვისტოს თარიღით დეპეშით იუწყებიან, რომ ბრიტანიის ჯარმა განათავისუფლა ბეთლემი, ფურუსბურგი, სენეკალი და ლედი ბრანდი და ბურებმა კვლავ დაიპირეს ეს ადგილებიო.

**ჰონგ-კონგი.** იუწყებიან, რომ გენერალმა გეზლიმ აქ მოწერილობა გამოჰგზავნა, — ჯარს ნულარ გამოჰგზავნით პეკინშიო.

**ვენა.** იუწყებიან, რომ ახალი არჩევანები საიმპერატორო სეიმში დაიწყება 21 ნოემბერს და დამთავრდება 1901 წლის 2 იანვარს.

**კელნი.** ბერლინიდგან იცნობებიან 28 აგვისტოს, რომ როგორც შანჰაიში იაპონიის წარმომადგენელს უთქვამს თავისის ამხანაგებისათვის, იაპონიაც მიიღებს მონაწილეობას შანჰაის დაჭერაში და ხმელეთის გზის ჯარის მოსვლამდე ამ ქალაქში გადასხმულ იქმნება 600 იაპონელი ზღვაოსანი.

**პარიჟი.** პიშონი იწერება დეპეშით პეკინიდგან 16 აგვისტოს თარიღით: პრინცმა ცინმა აცნობა სადიპლომატო კორპუსს, რომ 20 აგვისტოს ვიქმნები პეკინშიო. პრინცი ადრევე დარწმუნებულა, რომ იგი მიღებულ იქმნება.

**შანჰაი.** ინგლისელებმა დაიპყრეს ფენტაი ისე, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია. რუსებმა და იაპონელებმა მოიარეს პეკინის სამხრეთით ოცის მილის მანძილი და „დიდის მუშტისანი“ არსად შეხვდათ. ტელეგრაფის მავთულებს, სანაპიროებიდგან პეკინში გაყვანილს, ყოველ დღეს სწყვეტავენ „დიდის მუშტის“ მომხრენი. ყველა დეპეშა, რუსებისა და იაპონელების გარდა, ინგლისელებისა და ამერიკელების მიერ გაყვანილ ტელეგრაფით იგზავნებოდა.

**ნიუ-იორკი.** ვაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ შეერთებულს შტატებს უნდათ გაიყვანონ თავისი ჯარი პეკინიდგან, რადგან იმ აზრისანი არიან, რომ, რუსეთის საქციელისა გამო ყველა სახელმწიფოთა შეთანხმება და მორიგება შეუძლებელიაო, — ამასობაში „Tribune“, კარგად ჩახედული ამ საქმეში, ამბობს: ამერიკის მეცადინეობა, რომ სახელმწიფოთა შორის ერთობა ჩამოვარდესო, როგორც სჩანს, კეთილად დაბოლოვდებაო. ამერიკა იმ აზრისაა,

რომ პეკინში საელჩოებისათვის კვლავ დარაჯი იქმნას შემდგარი, რიცხვით 1,000 კაცი, და პეკინის კედლებს გარეთ კიდევ 2,500 კაცი იქმნას დატოვებული, რომელიც სწრაფად მივა იმ ათასის მისახმარებლად, და, დასასრულ, ჩინეთშივე ჰყავდეთ სახელმწიფოებს 20,000 ჯარის-კაცი.

**ნიუ-იორკი.** თუ კონჯერი უკეთესს მოსაზრებათ არ წარმოადგენს პეკინში დარჩენისას, მისწერენ რომ დაუყოვნებლივ გადაიტანოს საელჩო შანხაიში. ჩაფფის ჯარი ელჩს ტაკუმდე მოჰყვება, ხოლო იქიდგან შანხაიში მას ადმირალი რემეი წაიყვანს. უმთავრესი სამხედრო ძალა ამერიკისა ჩინეთში 19 სექტემბერს შემდეგ აღარ დარჩება.

**პეკინი.** ბრიტანიისა, ამერიკისა, რუსეთისა და იაპონიის ჯარების უფროსებმა მოწოდება გააკრეს, რომელშიაც აცხადებენ, რომ დაიცავენ წეს-რიგს, მცხოვრებლებს მფარველობას ჰპირდებიან, და ურჩევენ, რომ თქვენსავე საქმეს დაუბრუნდითო. იმედი აქვთ, რომ ამ მოწოდების შემდეგ მკვიდრნი რწმენითა და ნდობით მოეკიდებიან ახალს წესრიგსაო. ქუჩები ისევე ცალიერია. მკვიდრთ სურსათის ნაკლებულობა აქვთ, რადგან სოფლებიდგან აღარა გამოაქვთ-რა.

**გაუსტონი.** ტეხასის გუბერნატორი იუწყება დეპეშით, რომ გუშინ ქარიშხალმა გადაიარა, რომელმაც 3,000 ადამიანი იმსხვერპლა და 4,000-მდე შენობა, უმეტესად საცხოვრებელი სახლი დაანგრია. იალქნიან გემების უმეტესი რიცხვი დაიღუპა. ქალაქი იალვინი, გალვესტონიდგან ჩრდილოეთით 200 მილის მანძილზედ მყოფი, მთლად ნანგრევებად არის ქცეული.

**შანჰაი.** მანჟურიის ვიცე-კოროლი იუნანი 23 აგვისტოს წავიდა კვეიჩჟოუდგან ძლიერის რაზმით ჩრდილოეთისაკენ, რათა დახმარება აღმოუჩინოს იმპერატორს.

**პეკინი.** იაპონელებმა ჯარი გაიყვანეს საზაფხულო სასახლიდგან, რადგან რუსებმა დაამტკიცეს, რომ, ვიდრე იაპონელები დაიჭერდნენ სასახლეს, იგი უკვე დაჭერილი იყო ყაზახთა რაზმის მიერო. ეხლა სასახლე რუსების ხელშია.

29 აგვისტო

**პეტერბურგი.** დანიშნულ იქმნენ: კუოპიოსის გუბერნატორი გენერალი ოკერმანი—ფინლიანდიის სენატის სენატორად; ფინთა. კრიგს-კომისარიატის მთავარ ინტენდანტი პოლკოვნიკი ფურუგელმი—ულეაბორგის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

**ვაშინგტონი.** ჩაფფი იუწყება პეკინიდგან 22 აგვისტოს თარიღით: „მრავლდება ნიშნები, რომ აქ დიდხანს არ იქმნება შესაძლებელი განახლება სადიპლომატიო დამოკიდებულებისა, რუსეთის საელჩო ამ ახლო ხანებში წავა ტიან-ძინში. მე ეჭვს გარეშედ მიმაჩნია, რომ ჩინეთის მთავრობა არ დაბრუნდება, ვიდრე პეკინში უცხო სახელმწიფოთა ჯარი დარჩება. თუ ეს მართალია, ჩვენი საელჩო ვერავითარს თავისს სადიპლომატიო საქმეს ვერ შეასრულებს. ჩემის აზრით, პეკინი გამოდგება მოკავშირე სახელმწიფოთა ბანაკად, ვიდრე სახელმწიფონი სხვა ადგილს არ მოსძებნიან ჯარის სადგომად.

**ლონდონი.** გენერალი გეზლი იუწყება 20 აგვისტოს თარიღით: „დავიპყარით სადგური სუნდაი და რკინის გზის ხიდი ლუგოუციაო და ამგვარად პაოტინფუს გზა ჩვენ ხელთ არის".

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს" მიერ მიღებულ ცნობებით, ლი-ხუნგ-ჩანგს გარდაუცია სახელმწიფოებისათვის თავისი რწმუნების სიგელები, რომლითაც მას მინდობილი აქვს მოლაპარაკება დაიწყოს ზავის შესახებ. ეს სიგელები იმპერატორის სასახლის მიერ არის მიცემული და მათის სინამდვილის შესახებ ეჭვის შეტანა ძნელად თუ შეიძლებოდეს.

**ვაშინგტონი.** ვუცინფანმა გარდასცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბოგდიხანის ბრძანება, ამ ორის კვირის წინად გამოცემული. ამ ბრძანებით ლი-ხუნგ-ჩანგსა აქვს რწმუნებული საბოლოოდ დააწყნაროს უთანხმოება და, თავისის სურვილისამებრ, წარადგინოს ყოველგვარი წინადადება იმპერატორისაგან ნება-რთვის უთხოვნელად. ეს რწმუნება უტყუარჰყოფს, რომ ლი-ხუნგ-ჩანგს სრული უფლება აქვს ზავის შესახები მოლაპარაკება დაიწყოს.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება ბელფასტიდგან 27 აგვისტოს თარიღით: „ფრენჩი გავიდა კაროლინიდგან და გზაზედ შეეხეჩა საკმაო წინააღმდეგობას, მაგრამ ნელ-ნელა განდევნა მტერი სამის ადგილ-სიმაგრიდგან, რომელთა შორის ერთი იერიშით იქმნა დაპყრობილი. ჩვენი ზარალი, როგორც სჩანს, მცირე უნდა იყოს. ფრენჩმა განაგრძო სიარული ბარბერტონისაკენ. გამილტონი იუწყება, რომ ბულლერი გუშინ დილით თავს დაეცა მტრის ადგილ-სიმაგრეს, რომელიც იმყოფებოდა დიდ გორების გრეხილზედ, 1,500 ფუტის სიმაღლეზედ. ამ გორების გრეხილის უუშორესს ნაპირზედ სპიცკოპი მდებარეობს. მოსავლელად გზა მეტად ძნელია, ამიტომ ქვეითა ჯარმა, რომელსაც არტილერია იცავდა, ადგილ-სიმაგრე იერიშით დაიპყრო. მტერმა უკან დაიწია ვიწრო გზით და დიდ-ძალი ხალხიც დაეხოცა. უფრო დიდი ზარალი მოუვიდოდა, ხშირი ნისლი რომ არა ყოფილიყო. ჩვენის ჯარისა მოკლულია 13 და დაჭრილი 25".

**იოჰანესბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რომ კრიუგერი და შტეინი დელაგოას ყურეში გაიქცნენო.

30 აგვისტო

**გააგა.** სამშვიდობო კონფერენციის დასასრულს კრებაზედ, როდესაც დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გარდასცეს ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრს ხელმოწერილი ხელ-შეკრულებანი და დეკლარაციები, რუსეთის იმპერატორს დეპეშა გაეგზავნა. ამ დეპეშის პასუხი გამოგზავნა მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ გარეშე საქმეთა მინისტრის ბოფორის სახელობაზედ, რომლითაც იგი გულწრფელ მადლობას უხდის ბოფორს და დასასრულ დასძენს: „ღმერთმა ჰბრძანოს, რომ ის მუშაობანი, რომელშიაც კონფერენციის წევრნი ესოდენ ცხოველს მონაწილეობას იღებდნენ, ესაფუძვლოს, თუნდა შორეულს მერმისში, საზოგადო მშვიდობიანობის დამყარების საქმეს—ამ საგანს ყოველის ქრისტიანე ცივილიზაციისასაო".

**ტაკუ.** ხვალ პაოტინფუში მიდის ექსპედიცია, რომელშიაც ინგლისის ორი ცხენოსანი რაზმი იქმნება, ერთი ინგლისის საარტილერიო ბატარეია, 300 კაცი ინგლისის ქვეითა ჯარისა, 1,000 იტალიელი, 300 იაპონელი და 300 ანუ 500 რუსი. ექსპედიციაში ამერიკელებიც იღებენ მონაწილეობას.

**პრეტორია.** ბადენ პაუელი დანიშნულია ტრანსვაალის პოლიციის უფროსად, ლონდონის გაზეთებს აუწყებენ პიტერმარიცბურგიდგან, რომ ბურებმა კლიპრივერის სამხრეთით დაანგრიეს ხიდი და ამისის წყალობით რკინის გზის მატარებელი დაატყვევესო.

**ლონდონი.** კუმასსიდგან იუწყებიან 28 აგვისტოს თარიღით, რომ კაპიტანი ბერსონი და 3,000 ადგილობრივი მცხოვრები 16 აგვისტოს თავს დაესხა ოიესს და დამარცხებულ და თვით იგივე მოკლულ იქმნაო.

**კონსტანტინეპოლი.** ხმა დადის, რომ ბოლგარიის მთავარი ამ ახლო ხანში მოვა აქაო.

სპარსეთის მთავრობას ოფიციალურად ეუწყა, რომ შაჰი კონსტანტინეპოლში 14 სექტემბერს წავაო.

**შანხაი.** დანამდვილებით შეტყობილია, რომ უწესოების დროს მოკლულ იქმნა 56 მისსიონერი, სახელდობრივად 34 ინგლისისა და 22 ამერიკისა; ამას გარდა, ყოვლად შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ მოკლული უნდა იყოსო კიდევ 37 მისსიონერი ტაიიუენფუში. ნუსხადგანა სჩანს, რომ 109 ინგლისელი და 61 ამერიკელი აკლიათ. მოკლულ კათოლიკეთა აღრიცხვა შეუძლებელია, რადგან იმათ რიცხვში ურევია მრავალი საფრანგეთის მღვდელი და დაი მოწყალებისა, რომელნიც ოლქებში იქმნენ მოკლულნი, სადაც რუსები იბრძოდნენ. მოკლულნი არიან აგრეთვე შვეციისა და დანიის სხვა და სხვა პროტესტანტები. ქრისტიან ჩინელთ მაინც სდევნიან; ჩინელ მეცნიერთაგან ყოველ-მხრივ მოუვიდა სახსოვარი ბარათები ქვრივ იმპერატრიცას, რომელშიაც მადლობას უხდიან, რომ იგი ჩქარა განათავისუფლებს ქვეყანას უცხო-ქვეყნელთაგან. შიდა-ადგილებიდგან მოსული ცნობები იუწყება, რომ თუ ანგარიშში არ იქმნა მიღებული უცხო-სახელმწიფოთაგან დაპყრობილი ადგილები, დანარჩენნი მკვიდრნი ჩინეთისანი იმ აზრისანი არიან, რომ იმპერატრიცამ დიდად გაიმარჯვა და განაძევა უცხო-ქვეყნელნი ჩინეთიდგანაო.

**ლონდონი.** როგორც დღევანდელ დეპეშიდგანა სჩანს, რობერტსს თავ სი მთავარ-შადგური ბელფასტიდგან პრეტორიაში გადაუტანია.

**ვაშინგტონი.** ჩინეთის ელჩმა ვუტინფანმა დეპეშა მიიღო ლიხუნგ-ჩანგისაგან, რომელშიაც აღნიშნულია იმპერატორის ბრძანება, რომ ლიხუნგ-ჩანგი დაუყოვნებლივ წავიდეს პეკინში, პრინც ცინთან ერთად მოლაპარაკება დაიწყოს და ააცილოს ყოველი დაბრკოლება, რომელიც ომს თან სდევს. ლიხუნგ-ჩანგი დასძენს, რომ, ამა ბრძანებისა გამო, ვთხოვ საერთოდ დიდთა სახელმწიფოთ, თავისი მფარველობა აღმოუჩინონ და გაპიადვილონ იქ წასვლაო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს" შეუტყვია, რომ იმპერატორის ბრძანებაში, რომლითაც პრინცი ცინი და ლიხუნგ-ჩანგი არიან დანიშნულნი რწმუნებულად სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყობად, მხოლოდ ეს ორნი არიან დასახელებულნი და სხვა არავინ არის მოხსენებულიო.

**ვაშინგტონი** ლიხუნგ-ჩანგის სამშობლო მოლაპარაკეის დასაწყებად რწმუნებულად დანიშვნის გამო გამოცემულ ბრძანების პასუხად შეერთებულმა შტატებმა შეუთვალა, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს რაიმე აზრი წარმოვთქვათ ლიხუნგ-ჩანგის რწმუნებათა შესახებ, მხოლოდ იმედი გვაქვს, რომ ეს რწმუნებულნი საკმარისი იქმნება არა მარტო ოდენ მოლაპარაკების დასაწყებად, არამედ ლიხუნგ-ჩანგს შეძლება ექმნება დაუყოვნებლივ უზრუნველ-ჰყოს ამერიკელთა სიცოცხლე და ქონება მთელს ჩინეთის ადგილ-მიდამოზედაო.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც თავისი წვლილი არ დაიშურა და ჩემდამო რწმუნებულს ჯუმათის ღვთის-მშობლის ეკკლესიას შემოსწირეს ნივთები: 1, ქვრივმა ელმანა ჩხარტიშვილისამ ერთი ემბაზი, ღირებული ცხრა მანეთად, მანვე თავისის გარდაცვალებულ ქალის მოსახსენებლად ტრაპეზის შესამოსი, ღირებული ექვს მანეთად.

2) მღვდელმა ბართლომე ჩხარტიშვილმა ერთი გუმბათის ჯვარი, ღირებული ხუთ მანეთად.

3) ივლიტა ჩხარტიშვილისამ მეორე გუმბათის ჯვარი, ღირებული ექვს მანეთად.

4) ცაცო მითაიშვილისამ ორი კანდელი, ღირებული ცხრა მანეთად და სოფიო გუგუას ასულმა სამების ხატი, ღირებული ცხრა მანეთად.

ჯუმათის ღვთის-მშობლის ეკკლესიის შტატის მღვდელი სამსონ დარჩია.

—

დიდს მადლობას ვუცხადებ გაზედ „ივერიის" საშუალებით ძმათა იმედაშვილთ, ძმათა ნატრაძეთ, ი. მოსულიშვილსა და ი. ბუთიკაშვილს, რომელთაც მრავალი ქართული წიგნაკი გადმომცეს სოფელ ბაზალეთის გლეხობაში დასარიგებლად იმ აზრით, რომ სწავლა-განათლების სხივმა ამ ბნელ კუთხეებშიაც მიაშუქოს.

---

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

5 სექტემბერს

ვარდენ კიკოიშვილისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენის განზრახვა ბრალდება.

კონსტანტინე ნიჟარაძისა, რომელსაც სასჯელთა დებ. მე-1270 და 1445 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

სიმონ გიორგისძე დანგაძე, მკვლელობის ჩადენა.

ბესარიონ ნიკოლოზის ძის მესხისა, მკვლელობის ჩადენა.

9 სექტემბერს

მიხეილ სიჭინავასი. ყაჩაღობა ბრალდება.

გიორგი მდივნისა, ალექსანდრე სოლომონის ძის კიკნაძისა, ვანო და მალაქია ჭანტურიძის და სხ. სიყალბის ჩადენა ბრალდებათ.

12 სექტემბერს

ივანე დავითის ძის სარაჯაშვილისა და ალექსანდრე მარკოზაშვილისა, რომელთაც სასჯელ. დებ. მე 996 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ.

კაცია ციციბავასი, რომელსაც სასჯ. დებ. მე 1647 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ტფილისის სამოსამართლო დეპარტამენტის მეორე სისხლის სამართლის განყოფილებაში:

11 სექტემბერს

თავ შიხი ტუსიშვილისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც გაბაშვილის მკვლელობა ბრალდებათ.

ტფილისის ოლქის სასამართლოში:

6 სექტემბერს

ნადვორნი სოვეტნიკის მეუღლის ელისაბედ ჟურულისა, რომელსაც ნატალია მიხეილიძის ასულის წვალება ბრალდება.

---


# განცხადებანი

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ნ ა ს ი ძ ე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12 მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—18)

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ქიმიის, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფელ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუკიანცს, ტფილისს. (24—133—20)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ოლია ჭავჭავაძე